

BMJ Best Practice

მიკობაქტერია ავიუმ კომპლექსი

უშუალოდ პაციენტის მოვლის ადგილას



ბოლო განახლება: Jun 26, 2024

სარჩევი

მიმოხილვა	3
შეჯამება	3
განსაზღვრება	3
თეორია	4
ეპიდემიოლოგია	4
ეტიოლოგია	4
პათოფიზიოლოგია	5
კლასიფიკაცია	5
შემთხვევის ანამნეზი	5
დიაგნოზი	7
მიდგომა	7
ანამნეზი და გასინჯვა	8
რისკფაქტორები	10
კვლევები	12
დიფერენციული დიაგნოზები	14
კრიტერიუმები	15
სკრინინგი	16
მართვა	17
მიდგომა	17
მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა	19
მკურნალობის ალგორითმი	20
სიახლეები	29
პირველადი პრევენცია	29
მეორეული პრევენცია	29
განხილვები პაციენტთან	29
მეთვალყურეობა	31
მონიტორინგი	31
გართულებები	31
პროგნოზი	31
გაიდლაინები	32
დიაგნოსტიკური გაიდლაინები	32
მკურნალობის გაიდლაინები	32
წყაროები	34
განმარტება	39

შეტამება

Mycobacterium avium კომპლექსს (MAC) აქვს ცვალებადი დამახასიათებელი ნიშნები, მათ შორის ქრონიკული ხველა, წონის დაკლება და ცხელება.

დაავადების ინციდენტობა მაღალია ფილტვის ფონური დაავადების, თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარების ანამნეზის მქონე პირებში.

CD4 უჯრედების <50 უჯრ/მლ რაოდენობის მქონე აივ ინფიცირებულ პაციენტებშიც მაღალია ინფექციის განვითარების რისკი.

ფილტვის დაავადების დიაგნოსტიკა აივ- არაინფიცირებულ პირებში, დამახასიათებელ კლინიკურ სიმპტომებსა და რადიოგრაფულ ნიშნებთან ერთად, საჭიროებს, რესპირატორული სეკრეტებიდან მიკროორგანიზმის განმეორებით იზოლაციას

აუცილებელია კომბინირებული მკურნალობა სულ მცირე 2 მედიკამენტით.

განსაზღვრება

MAC, ასევე ცნობილი როგორც *Mycobacterium avium-intracellulare* (MAI), შედგება მიკობაქტერიის ორი სახეობისგან, *M. avium* და *M. intracellulare*.^[1] თუმცა MAC იზოლატები შეიძლება იყოს იდენტიფიცირებული მოლეკულური ტექნიკის დახმარებით როგორც *M. avium* ან *M. intracellulare*, ამას არააქვს არანაირი პროგნოზული ან სამკურნალო უპირატესობა.^[2]

ადამიანებში MAC, როგორც წესი, 3 განსხვავებულ სინდრომს იწვევს: ფილტვის დაავადება, კისრის ლიმფადენოპათია და დისემინირებული დაავადება.^{[3] [4] [5]} ასევე აღწერილია მეოთხე სინდრომი, ჰიპერმგრძნობიარე (ჰიპერსენსიტიური) პნევმონიტი, რომელიც დაკავშირებულია ჰიდრომასაჟურ აბაზანის გამოყენებასთან.^[6]

ეპიდემიოლოგია

არატუბერკულოზური მიკობაქტერიული (NTM) ინფექციების გავრცელება, მათ შორის გამონეწეული *Mycobacterium avium* კომპლექსით (MAC), ძნელია შეფასდეს, რადგან უმეტეს ქვეყნებში ისინი არ წარმოადგენენ შეტყობინებად დაავადებებს და არ არსებობს სისტემატური მეთვალყურეობისა და ანგარიშგების მექანიზმები. გარდა ამისა, მათი დიაგნოზი და კულტურაში მათი იდენტიფიკაციის მნიშვნელობა ყოველთვის არ არის მარტივი. შედეგად, არ არის ხელმისაწვდომი NTM ინფექციების დაავადებულობისა და პრევალენტობის (გავრცელების) სანდო და ზუსტი შეფასებები. არსებობს ზოგადი შეთანხმება, რომ იზრდება NTM (და MAC) ინფექციის რიცხვი და დაავადებულობა, თუმცა, უცნობია არის თუ არა ეს დაავადების ტვირთის ჭეშმარიტი მატების ან უფრო სწორად გაზრდილი ინფორმირებულობის, გაუმჯობესებული დიაგნოსტიკის ან მასპინძლის წინასწარგანწყობის ფაქტორების ზრდის მაჩვენებელი.[7] [8] [9][10]

Mycobacterium avium კომპლექსით გამონეწეული ლიმფადენიტი ბავშვების დაავადებად ითვლება და ყოველწლიურად დაახლოებით 300 შემთხვევა ფიქსირდება აშშ-ში.[11] [12]

ჯანსაღი იმუნური სისტემის მქონე პაციენტებში MAC (*Mycobacterium avium*) იშვიათად იწვევს დაავადებას. თუმცა, აივ ინფიცირებულ პირებში, MAC შეიძლება ფართოდ გავრცელდეს მთელ ორგანიზმში და თითქმის ყველა ორგანო დააზიანოს (განსაკუთრებით, ღვიძლი, ელენთა და ძვლის ტვინი). კომბინირებული ანტირეტროვირუსული თერაპიის ხელმისაწვდომობამდე, დისემინირებული MAC აღინიშნებოდა შიდსით დაავადებული ადამიანების 20%-დან 40%-მდე.[13] კომბინირებული ანტირეტროვირუსული თერაპიის შემოღებიდან, MAC -ის ინციდენტობა მნიშვნელოვნად შემცირდა აივ ინფიცირებულ პაციენტებში.[14]

ეტიოლოგია

Mycobacterium avium კომპლექსი (MAC) ჩვეულებრივ გვხვდება გარემოში, მათ შორის ნიადაგში, წყალში და მტვერში. ცნობილია, რომ ბუნებრივი წყლების კოლონიზაციის უნარი აქვს, ისევე როგორც წყალგამყვანი სისტემის, აუზისა და ჰიდრომასაჟური აბაზანების.[10] [15] წყლის სატრანსპორტო სისტემები მოქმედებს როგორც გადამცემი გზა წყლის რეზერვუარებიდან საყოფაცხოვრებო წყალამდე.[15] თუმცა, არავითარი გარემოს ან ქსევითი ფაქტორების ზემოქმედება არ იყო შეფასებული როგორც რისკფაქტორი MAC-ის შემდგომი განვითარებისთვის. დაავადების გავრცელების ზუსტი გზის/მარშუტის იდენტიფიცირება იშვიათად ხდება. მიუხედავად იმისა, რომ MAC -ის პრევალენტობა გარემოში შეიძლება განსხვავდებოდეს გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, ამ განსხვავების მნიშვნელობა MAC -ით გამონეწეულ დაავადებების გავრცელებაში გაურკვეველია.[11] [16]

მიკობაქტერია აერობული, უმოძრაო ბაცილაა, არ წარმოქმნის სპორებს.[1] უჯრედის კედელი შეიცავს გრძელ-ჭაჭვიან გლიკოლიპიდებს, რომლებიც იცავენ ამ ფაკულტატურ უჯრედშიდა ბაქტერიებს ლიზოსომური დამაინებისაგან. მიკობაქტერია ნელა იზრდება მყარ აგარზე 10-დან 21 დღემდე. ბაქტერიული ზრდა თხევად აგარზე უფრო ადრე შეიმჩნევა (7-10 დღე).

არსებობს ორი ძირითადი სახეობა, რომლებიც შეადგენს MAC-ს: *M. avium* და *M. intracellulare*. ორგანიზმები დამატებით კიდევ შეიძლება კლასიფიცირდეს სეროტიპებად უჯრედის კედლის შემადგენელი გლიკოპეპტიდოლიპიდების მიხედვით.[2] *M. avium* პასუხისმგებელია 90%-დან 95%-ზე მეტ დაავადებაზე შიდსით დაავადებულ ადამიანებში.[17] 1, 4 და 8 სეროტიპი იდენტიფიცირებულია, როგორც ძირითადი ეტიოლოგიური აგენტები შიდსით დაავადებულ ადამიანებში.[18]

პათოფიზიოლოგია

MAC ორგანიზმების გავრცელების ძირითად გზას სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემა წარმოადგენს. ფილტვის დაავადების შემთხვევაში, ინფექციის გადაცემა მიჩნეულია, რომ ინჰალაციის გზით ხდება. შიდსისა და ლიმფადენიტის დროს კი, საჭმლის მომნელებელი ტრაქტი წარმოადგენს ინფექციის გავრცელების მთავარ გზას.[19] შიდსის მქონე პაციენტებში, MAC-ის მიერ GI ტრაქტის კოლონიზაცია რამდენიმე თვით უსწრებს ბაქტერიემიისა და დისემინირებული დაავადების განვითარებას.[20] ინფექციის ადამიანიდან ადამიანზე გავრცელების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

სხეულში მოხვედრის შემდეგ MAC-ის ორგანიზმები სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი სისტემის კოლონიზაციას იწვევენ, აინფიცირებენ მაკროფაგებს და მრავლდებიან უჯრედის შიგნით. მაკროფაგების მიერ ანტიგენების ფაგოციტოზი და შემდგომ მათი გადამუშავება კომპლექსურ იმუნურ საპასუხო რეაქციებს იწვევს, რომლებიც მაკროფაგების შემდგომ აქტივაციას და ციტოკინების სეკრეციას განაპირობებს, მათ შორის IL-2-ის, ინტერფერონ გამას და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის.[21] [22] [23] ჯანსაღი უჯრედული იმუნური სისტემისა და ფილტვის სანათურის გამწმენდი მექანიზმის მქონე პაციენტებში, ზემოთ აღნიშნული რეაქციების აქტივაცია გრანულომის ფორმირებას და MAC ორგანიზმების უჯრედშიდა განადგურებას იწვევს. იმუნური დეფიციტები, განსაკუთრებით უჯრედული იმუნიტეტის, თუმცა ჰუმორული და ციტოკინების გენური დეფექტებიც, განაპირობებენ ორგანიზმის მაკროფაგებში შეუფერხებელ გამრავლებას და ხელს უწყობენ შემდგომ ინფექციის დისემინაციას.[24] [25]

ანთების ხელშემწყობი ციტოკინების მომატებული რაოდენობა პასუხისმგებელია ცხელებაზე, ღამის ოფლიანობასა და კახექსიაზე, რომლებიც MAC ინფექციის მქონე პაციენტებში გამოხატული.[26]

კლასიფიკაცია

დაავადების სინდრომები, რომლებიც დაკავშირებულია *Mycobacterium avium* კომპლექსთან (MAC)

- ფილტვის დაავადებები
- კისრის ლიმფადენოპათია
- დისემინირებული დაავადება
- ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი

შემთხვევის ანამნეზი

შემთხვევის ანამნეზი #1

თამბაქოს (30 კოლოფი/წელიწადში) და ალკოჰოლის ჟარბი მოხმარების ანამნეზის მქონე 58 წლის თეთრკანიან მამაკაცს აღენიშნება პროდუქტიული ხველის, წონაში კლების, ცხელებისა და ღამის ოფლიანობის 6 თვიანი ანამნეზი. პაციენტი უარყოფს გარშემომყოფ პირებში ავადობის ან ახლო წარსულში უცხო ქვეყნებში მოგზაურობის შემთხვევებს. გასინჯვისას, პაციენტი კახექსიურია, თუმცა ამჟამად დისტრესი არ შეიმჩნევა. გულმკერდის აუსკულტაციისას ისმინება ხიხინი მარცხენა ფილტვის ზედა-უკანა წილში. ლიმფადენოპათია არ აღინიშნება.

შემთხვევის ანამნეზი #2

არამწველ 65 წლის თეთრკანიან ქალბატონს აღენიშნება ხველის 2 წლიანი ანამნეზი. იგი უარყოფს წონის კლებას, ცხელებას ან ღამის ოფლიანობას. ფილტვის დაავადების ანამნეზი არ აქვს. გასინჯვისას შეინიშნება, რომ პაციენტი ძალიან გამხდარია და აღენიშნება თანდართული სქოლიოზი და მენალის გულმკერდი. ფილტვის აუსკულტაციით ისმინება ხიხინი მარჯვენა შუა წილზე.

სხვა გამოვლინებები

ლიმფადენიტი გამონწველი Mycobacterium avium კომპლექსი (MAC), ძირითადად გვხვდება ბავშვებში და ვლინდება ცალმხრივი კისრის ლიმფადენოპათიით. აივ ინფიცირებულ პირებში MAC ვითარდება მძიმე იმუნოსუპრესიის დროს, რასაც მოწმობს CD4 უჯრედების რაოდენობა <50 უჯრ/მლ. იმუნოკომპეტენტურ პირებში განვითარებული ფილტვის დაავადებისა და კისრის ლიმფადენოპათიისგან განსხვავებით, დაბალი CD4-ის პირობებში MAI ვლინდება სისტემური ფებრილური დაავადების სახით, თანდართული ოფლიანობით, დაღლილობით, მუცლის ტკივილით, დიარეით და შედარებით მცირე რაოდენობის კეროვანი ვეზიკულებით. ფიზიკური გამოკვლევისას ჰეპატომეგალია და/ან სპლენომეგალია შეიძლება იყოს გამოხატული. მაშინ როდესაც ინტრაბდომინური აღენოპათია ხშირად გვხვდება გამომსახველობითი გამოკვლევებისას, ფიზიკური გასინჯვისას პერიფერიული ლიმფადენოპათია დაავადების იშვიათი ნიშანია.

მიდგომა

Mycobacterium avium კომპლექსის (MAC) კლინიკური სურათი იცვლება ინფექციის ადგილისა და პაციენტის მახასიათებლების მიხედვით. დიაგნოზი შეიძლება დადასტურდეს რენდგენოლოგიური მეთოდით და ნიმუშების მიკრობიოლოგიური კვლევებით (ნახველის ან სისხლის). უფრო ინვაზიური პროცედურები, როგორებიცაა ბიოფსია და ძვლის ტენის ასპირაცია, მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში გამოიყენება.

ფილტვის MAC

MAC -ის ფილტვის დაავადების დამადასტურებელი სიმპტომებია ხველა, დაღლილობა, ცხელება და წონაში კლება, განსაკუთრებით ფილტვის ფონური დაავადების მქონე პირებში, რომლებშიც ალტერნატიული დიაგნოზი ვერ დადგინდა და სტანდარტული ანტიბიოტიკოთერაპიაც უშედეგო აღმოჩნდა.[29]

ფილტვის MAC დაავადების ერთ-ერთი ფორმა ქვემწვავე/ქრონიკული ავადმყოფობის სახით ვლინდება, თანდართული პროდუქტიული ხველით, წონაში კლებით, ცხელებით ან ღამის ოფლიანობით, შუახნის ან ხანდაზმულ მამაკაცებში, რომელთაც ანამნეზში ფილტვის ფონური დაავადების, თამბაქოს და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება აღენიშნება.

დაავადების მეორე ფორმა ვლინდება უფრო დუნედ მიმდინარე კლინიკური სურათით და ძირითადად შუახნის ან ხანდაზმულ ქალებში გვხვდება, რომელთაც ფილტვის დაავადების ანამნეზი არ აღენიშნებათ. აღნიშნულ პაციენტებში გამოხატულია ქრონიკული ხველა, თუმცა სისტემური სიმპტომები, როგორებიცაა ცხელება ან წონაში კლება არ აღინიშნება. დამახასიათებელი მორფოტიპი- გამხდარი თანდართული სქოლიოზითა და მენალის გულმკერდით. აგრეთვე, ხშირად დაკავშირებულია მიტრალური სარქველის პროლაფსთან.

ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომების არსებობისას აუცილებელია ჩატარდეს გულმკერდის რენდგენოგრაფია და შესაძლებლობის შემთხვევაში შეედაროს წინა რენტგენს. გამოსახულებაზე ინფილტრატები (კვანძებით ან მათ გარეშე), მრავლობითი კვანძები ან კავერნები MAC-ზე მიუთითებს.

პათოლოგიური გულმკერდის რენდგენოგრაფიის შემთხვევაში, მაგრამ კავიტაციის გარეშე, საჭიროა მაღალი რეზოლუციის კტ კვლევის ჩატარება (HRCT). აღნიშნულ კვლევაზე შეიძლება გამოვლინდეს მცირე ზომის კვანძები და მრავალკეროვანი ბრონქოექტაზია, თანდართული კვანძებით ან მათ გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ კლინიკური და რადიოგრაფიული ნიშნები მოცემულ დიაგნოზზე მიუთითებს, საჭიროა ნახველის მიკრობიოლოგიური გამოკვლევა.

ბრონქოსკოპია, ფილტვის ბიოფსია და ბრონქული ლავაჟი ნაჩვენებია იმ შემთხვევაში, თუ ნახველის კულტურალური კვლევა არაინფორმატიულია დიაგნოსტიკისთვის.

დისემინირებული MAC

აივ ინფექციის ან ზოგადად მძიმე იმუნოსუპრესიის, ლეიკემიის, ლიმფომის, ორგანოთა ტრანსპლანტაციის და სხვა იმუნოსუპრესიული თერაპიის ანამნეზი. ვლინდება ფეხბრილური ავადმყოფობის სახით, თანდართული ცხელებით, დაღლილობით, მუცლის ტკივილითა და ღიარით.[17] ფიზიკური გამოკვლევისას ჰეპატომეგალია და/ან სპლენომეგალია შეიძლება იყოს გამოხატული.

თავდაპირველად უნდა ჩატარდეს .სისხლის ტესტირება სისხლის სრული ანალიზით, ლეიკოზის ფუნქციური ტესტით და კულტურა. 200 უჯრ/მკ-ზე ნაკლები CD4 უჯრედების რაოდენობის მქონე აივ ინფიცირებულ პირებში დადებითი კულტურა 1+ ზრდით საკმარისია დიაგნოზის დასასმელად.[29] ძვლის

ტვინის ასპირაცია და კულტურა ინფორმატიულია აივ ინფექციასთან ასოცირებული MAC-ის დაავადების დროს და უფრო სწრაფად იძლევა შედეგებს.

სისხლის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია იმედის მომცემი ტესტია MAC-ის განსასაზღვრად, მაგრამ არ არის ხელმისაწვდომი რუტინულად კლინიკური გამოყენებისთვის.[32]

კისრის ლიმფადენოპათია

ძირითადად ბავშვებში გვხვდება, შემთხვევათა უმეტესობა 1-დან 5 წლამდე ვითარდება. ხასიათდება ქვემწვავე ან ქრონიკული მიმდინარეობით და ხშირად თან ახლავს კისრისა და სახის გადიდებული ლიმფური კვანძები, თანდართული კონსტიტუციური (სისტემური) სიმპტომებითა და ცხელებით.[33] [34] . როგორც წესი, ცალმხრივია. დაავადების პოტენციური გართულებებია პროცესის ექსტრანოდალური გავრცელება და სინურუსი გზების ფორმირება.[35]

აუცილებელია ჩატარდეს ლიმფური კვანძების ბიოფსია, რის შედეგადაც ვლინდება გრანულომები. აგრეთვე საჭიროა დაითესოს MAC კულტურა.

ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი

ჰიპერსენსიტიური პნევმონიტის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია ჰიდრომასაჟურ აბაზანის გამოყენებასთან და გამოწვეულია MAC ინფექციით, ჩვეულებრივ უწოდებენ "ჰიდრომასაჟური აბაზანის ფილტვებს". ყველაზე ხშირი სიმპტომებია ხველა და დისპნოე, რომლებიც ჰიდრომასაჟური აბაზანების გამოყენებიდან გარკვეულ დროში ვითარდება.[36] სიმპტომებს შეიძლება დამატებით თან ახლდეს ცხელება.

თავდაპირველად რეკომენდებულია ჩატარდეს გულმკერდის რენტგენოგრაფია, შემდგომი HRCT-ით იმ შემთხვევაში, თუ გულ-მკერდის რენტგენზე ინტერსტიციული ან მიკრო-კვანძოვანი ინფილტრატები გამოხატული. HRCT ავლენს დიფუზურ ცენტრილობულურ კვანძებს და/ან დაბურული მინის შესახედაობის ინფილტრატებს.

რეკომენდებულია ნახველის კულტურისა და ცხელი აბაზანის წყლის ნიმუშების გამოკლევა.

ბრონქოსკოპია, ფილტვის ბიოფსია და ბრონქული ლავაჟი ნაჩვენებია იმ შემთხვევაში, თუ ნახველის კულტურალური კვლევა არაინფორმატიულია. ჰისტოპათოლოგიურად ვლინდება არაკაზეოზური გრანულომები.[37]

ანამნეზი და გასინჯვა

ძირითადი დიაგნოსტიკური ფაქტორები

ფილტვის ფონური დაავადება (ხშირი)

- ფილტვისმიერი MAI, როგორც წესი, ფილტვის დაავადებების - გადატანილი ტუბერკულოზის, ბრონქიექტაზიის, სიმსივნის, სილიკოზისა და ცისტური ფიბროზის ანამნეზის მქონე პირებში ვითარდება

ქრონიკული პროდუქტიული ხველა (ხშირი)

- გვხვდება უმეტეს პაციენტებში ფილტვის Mycobacterium avium კომპლექსით ან ჰიპერმგრძნობელობის პნევმონიტით.

ქოშინი (ხშირი)

- ფილტვისმიერი MAC -ის ან ჰიპერსენსიტიური პმევმონიტის მქონე პაციენტთა უმრავლესობაში გვხვდება.

წონაში კლება (ხშირი)

- გვხვდება პაციენტთა უმრავლესობაში, განსაკუთრებით აივ ინფექციასთან ასოცირებული დისემინირებული დაავადებების დროს.

დაღლილობა (ხშირი)

- გვხვდება პაციენტთა უმრავლესობაში, განსაკუთრებით აივ ინფექციასთან ასოცირებული დისემინირებული დაავადებების დროს.

ცხელება (ხშირი)

- ვითარდება Mycobacterium avium კომპლექსის ინფექციით დაავადებულ პაციენტთა უმეტესობაში, განსაკუთრებით აივ-თან დაკავშირებული დისემინირებული (გავრცობილი) დაავადების დროს.

ლიმფადენოპათია (ხშირი)

- კისრის ლიმფადენოპათია პირველ რიგში აღინიშნება მცირეწლოვან ბავშვებში.[34] შესაყარის ლიმფადენოპათია შეიძლება გამოვლინდეს ფილტვის Mycobacterium avium კომპლექსის (MAC) დაავადების დროს. ინტრაბდომინალური ლიმფადენოპათია ხშირად დისემინირებული MAC დაავადების კომპონენტია. ლიმფადენოპათია, ასევე, შესაძლოა გამოვლინდეს იმუნიტეტის აღდგენისა და ანთებით სინდრომის ფონზე.

შესუსტებული იმუნიტეტით (იშვიათი)

- აივ ინფექცია ან ზოგადად სხვა მძიმე იმუნოსუპრესიული მდგომარეობები, ლეიკემია, ლიმფომა, ორგანოთა ტრანსპლანტაცია ან სხვა იმუნოსუპრესიული თერაპიები.

ცხელი აბაზანები (იშვიათი)

- პნევმონიტის ანამნეზისა და რადიოგრაფიული ნიშნების მქონე პაციენტებში აუცილებელია დადგინდეს ცხელი აბაზანის გამოყენების შემთხვევები.

სხვა დიაგნოსტიკური ფაქტორები**5 წლამდე ასაკი (ხშირი)**

- კისრის ლიმფადენიტი ძირითადად ბავშვებში ვითარდება (საშუალო ასაკი 2.8 წელი)[33]

შუახნის ან ხანდაზმული ასაკი (ხშირი)

- ფილტვის Mycobacterium avium კომპლექსით უპირატესად ავადდებიან შუახნის ან უფროსი ასაკის პირები.

ლამის ოფლიანობა (ხშირი)

- შეიძლება გამოვლინდეს ცხელებასთან ერთად პაციენტებში ქვემწვავე Mycobacterium avium კომპლექსით.

მუცლის ტკივილი (ხშირი)

- შეიძლება მოხდეს პაციენტებში დისემინირებული (გავრცობილი) Mycobacterium avium კომპლექსით.

დიარეა (ხშირი)

- შეიძლება მოხდეს პაციენტებში დისემინირებული (გავრცობილი) *Mycobacterium avium* კომპლექსით.

ხიხინი/ტკაცუნი (ხშირი)

- ეს შედეგები ძალიან არასპეციფიკურია და შეიძლება მიუთითებდეს ფილტვის ძირითად დაავადებაზე ან ფილტვის *Mycobacterium avium* კომპლექსს.

ჰეპატომეგალია. (ხშირი)

- ასოცირებულია დისემინირებულ *Mycobacterium avium* კომპლექსთან, განსაკუთრებით აივ-ით დაავადებულ პაციენტებთან.

სპლენომეგალია (ხშირი)

- ასოცირებულია დისემინირებულ *Mycobacterium avium* კომპლექსთან, განსაკუთრებით აივ-ით დაავადებულ პაციენტებთან.

სხეულის თხელი აგებულება (იშვიათი)

- პოსტმენოპაუზურ ქალებში კვანძოვანი/ბრონქოექტაზიური *Mycobacterium avium* კომპლექსით.

მენალის გულმკერდი (იშვიათი)

- პოსტმენოპაუზურ ქალებში კვანძოვანი/ბრონქოექტაზიური *Mycobacterium avium* კომპლექსით.

სქოლიოზი (იშვიათი)

- პოსტმენოპაუზურ ქალებში კვანძოვანი/ბრონქოექტაზიური *Mycobacterium avium* კომპლექსით.

სისტოლური ტკაცუნი ან შუილი (იშვიათი)

- მიტრალური სარქველის პროლაფსი ასოცირდება კვანძოვან/ბრონქოექტატურ *Mycobacterium avium* კომპლექსთან პოსტმენოპაუზურ ქალებში.

რისკფაქტორები

ძლიერი**ფილტვის ფონური დაავადებები**

- როგორებიცაა გადატანილი ტუბერკულოზი, ფეოდ, ცისტური ფიბროზი, ბრონქოექტაზია, ავთვისებიანი სიმსივნე ან პნევმოკონიოზი.[3] [11] [27]
- ითვლება, რომ *Mycobacterium avium* კომპლექსი (MAC) განაწილს დაავადებადმი ფილტვის კლირენსის მექანიზმებში ჩარევით. თუმცა ასეთი სპეციფიკური დეფექტები ვერ იქნა გამოვლენილი.
- დაკავშირებულია MAC ინფექციის ერთ-ერთ ტიპთან, რომელიც ფილტვების კავერნოზულ დაავადებას იწვევს.

აივ/შიდსი

- ძირითად რისკფაქტორს CD4 უჯრედების <50 უჯრ/მლ რაოდენობა წარმოადგენს.
- ასხვა ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია გავრცელებულ *Mycobacterium avium* კომპლექსის (MAC) დაავადებასთან აივ ინფიცირებულ პაციენტებში, მოიცავს პლაზმაში აივ-1 რნმ-ის მაღალ დონეს (>100000 ასლი/მლ), წინა ოპორტუნიტულ ინფექციებს (განსაკუთრებით ციტომეგალოვირუსის დაავადება) და წინა კოლონიზაციას სასუნთქი ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტი MAC-ით.[5]

მძიმე იმუნოსუპრესია

- ლეიკემიის, ლიმფომის, ორგანოთა ტრანსპლანტაციის ან სხვა იმუნოსუპრესული თერაპიის შედეგად.[29]

ციტოკინების გენეტიკური დეფექტები

- ინტერლეკინ-12-ისა და ინტერფერონ გამას პროდუქციის დეფექტები განაპირობებს წინასწარგანწყობას დისემინირებული MAI განვითარების.[25] [26]

სუსტი

მონევა

- ვასოცირებულია ფილტვის Mycobacterium avium კომპლექსის განვითარებასთან.

ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება

- ვასოცირებულია ფილტვის Mycobacterium avium კომპლექსის განვითარებასთან.

ხანდაზმული ასაკი

- ხანდაზმულ მწველ მამაკაცებს აქვთ, Mycobacterium avium კომპლექსით გამოწვეული, ფილტვის კავიტაციური დაავადების განვითარების უფრო მაღალი რისკი .
- მენოპაუზის მქონე, არამწველი ქალები, რომელთაც არ აღენიშნებათ ფილტვის ფონური დაავადება ან იმუნოსუპრესია, უფრო მიდრეკილნი არიან განუვითარდეთ შუა ფილტვის კვანძოვანი ბრონქოექტაზიური დაავადება (შუა ფილტვის სინდრომი/ლელი. ვინდერმერის სინდრომი).[28]

ცხელი აბაზანები

- აღწერილი ჰიპერმგრძნობელობის პნევმონიტი, გამოწვეული აერობოლირებული Mycobacterium avium კომპლექსის ზემოქმედების შედეგად დახურულ ჰიდრომასაჟურ აბაზანებში (ფილტვის ჰიდრომასაჟური აბაზანა).[6]

კვლევები

1-ლად შესაკვეთი ტესტები

ტესტი	შედეგი
სისხლის საერთო ანალიზი ანემიის ან ლიმფოციტოპენიის გამოსავლენად. ხშირი შემთხვევა დისემინირებულ Mycobacterium avium კომპლექსში.[17]	დაბალი ჰემოგლობინი (Hb); CD4 შემცირებული რაოდენობა
ღვიძლის ფუნქციური სინჯები რომ განისაზღვროს ღვიძლის ფერმენტების მომატებული დონე ხშირად შემხვედრი კლინიკური სურათი დისემინირებულ Mycobacterium avium complex-ის დროს.[17]	მომატებული ტუტე ფოსფატაზა
გულმკერდის რენტგენი აუცილებელია სურათის წინა რენტგენთან შედარება (თუ შესაძლებელია), პროგრესიის განსასაზღვრად.	თხელკედლიანი კავერნოზული დაზიანებები ძირითადად ზედა წილებში ვითარდება; კვანძები და ბრონქოექტაზიური ცვლილებები კი შუა ან ქვედა წილებში
ნახველის დათესვა - ნახველის დადებითი კულტურები ყოველთვის არ მიუთითებს Mycobacterium avium complex (MAC) ფილტვის დაავადებაზე კლინიკური სურათის შეფასებისა და რადიოგრაფული კვლევების შემდეგ დიაგნოზის დასადასტურებლად გამოიყენება. - დადებითი შედეგები შეიძლება მხოლოდ კოლონიზაციას ასახავდეს.	დადებითია MAC-ის ზრდისთვის
სისხლის კულტურა აივ ინფექციასთან ასოცირებული დისემინირებული Mycobacterium avium კომპლექსში (MAC), სისხლის კულტურები საკმაოდ ინფორმატიული დიაგნოზის დასადგენად. დიაგნოსტიკურობისთვის სისხლის კულტურის ერთეული ნიმუშის სენსიტიურობა 90%-95% შეადგენს; სისხლის 2 ნიმუშის კულტურა კი 99%-იანი სენსიტიურობით ხასიათდება.[38]	დადებითია MAC-ის ზრდისთვის

სხვა გასათვალისწინებელი ტესტები

ტესტი	შედეგი
მაღალი რეზოლუციის კტ კვლევა (HRCT) გულმკერდის პათოლოგიური რენტგენი, თუმცა კავიტაციის გარეშე, HRCT კვლევის ჩვენებაა.	ზედა წილების თხელკედლიანი კავერნები; მრავლობითი, პერიფერული კვანძები ბრონქოვასკულურ ხის გასწვრივ ('დატოვებული'); ცილინდრული ბრონქოექტაზიური ცვლილებები
ძვლის ტვინის ასპირატი კულტურისთვის შესაძლოა საჭირო გახდეს Mycobacterium avium კომპლექსის (MAC) სავარაუდო გავრცელების შემთხვევაში, თუ სისხლის კულტურა არ იძლევა დიაგნოსტიკურ შედეგს.	დადებითია MAC-ის ზრდისთვის
ბრონქოსკოპია/ბრონქული ლავაჟი შეიძლება საჭირო გახდეს რადიოგრაფული ცვლილებების მქონე პაციენტებში, რომელთა ნახველის კულტურაც არადაიაგნოსტიკურია.	პოზიტიურია Mycobacterium avium კომპლექსის ზრდისთვის
ფილტვის ბიოფსია შეიძლება საჭირო გახდეს რადიოგრაფული ცვლილებების მქონე პაციენტებში, რომელთა ნახველის კულტურაც არადაიაგნოსტიკურია.	გრანულომები; ცენტრილობულური და ბრონქოცენტრული განაწილება ჰიპერსენსიტიური პნევმონიტის შემთხვევაში; კულტურა დადებითია Mycobacterium avium კომპლექსის ზრდისთვის
ლიმფური კვანძების ბიოფსია შეიძლება საჭირო გახდეს ბავშვებში, რომლებსაც აღენიშნებათ კისრის ლიმფადენოპათია.	გრანულომები; კულტურა დადებითია Mycobacterium avium კომპლექსის ზრდისთვის

ახალი ტესტები

ტესტი	შედეგი
პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია დისემინირებული MAC ინფექციის დროს საიმედო ტესტია Mycobacterium avium კომპლექსის (MAC) პირდაპირ სისხლში იდენტიფიცირებისთვის.	დნმ-ის იდენტიფიცირება

დიფერენციული დიაგნოზები

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
ფილტვისმიერი ტუბერკულოზი	• ძნელია კლინიკურად განასხვავოს ტუბერკულოზი Mycobacterium avium კომპლექსისაგან (MAC). • ტუბერკულოზის ინფექციასთან ექსპოზიცია ინფორმატიულია, თუმცა არა დიაგნოსტიკური.	• ფილტვის გამომსახველობით კვლევებზე MAC - ის ფიბროზულ-კავერნული დაზიანებების ტუბერკულოზისაგან დიფერენცირება რთულია. თუმცა, MAC უფრო თხელკედლიანი კავერნებით, ექსტენსიური პროცესითა და პლევრული დაზიანებით ხასიათდება. • ნაცხის გამოკვლევა მიკობაქტერიის სხვადასხვა ტიპებს ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან. • კულტურა არის აუცილებელი ტიპის იდენტიფიცირებისთვის.
სხვა არატუბერკულოზური მიკობაქტერიები (NTM)	• NTM-ის სხვა ტიპები, მაგალითად M fortuitum ან M chelonae / აბსცესი, ძნელია განასხვავოთ სიმპტომების საფუძველზე.	• ნაცხის გამოკვლევით მიკობაქტერიების განსხვავება შეუძლებელია. • კულტურა ყველაზე ზუსტი მეთოდია განსხვავების დასადგენად.
აივ ინფექციასთან დაკავშირებული ლიმფომა	• კლინიკურად რთულია განასხვავო დისემინირებული (გავრცობილი) Mycobacterium avium კომპლექსისგან (MAC).	• ჰისტოპათოლოგიური გამოკვლევა საჭიროა ლიმფომის დიაგნოსტიკისთვის. • კულტურა ძირითადად უარყოფითია, თუ თანდართული MAC ინფექცია არ არის გამოხატული.
ჰისტოპლაზმოზი	• სოკოვანი ინფექციები ხშირად გვხვდება იმუნოსუპრესულ პაციენტებში. • კლინიკურად რთულია განასხვავო Mycobacterium avium კომპლექსისგან (MAC).	• გულმკერდის რენტგენზე ვლინდება ცალკეული კვანძები, რომლებიც იშვიათად გარდაიქმნება კავერნებად. • დიაგნოზი კულტურის, სოკოს ნიმუშების შეღების, სეროლოგიური ტესტებისა და ანტიგენის დეტექციის მეშვეობით ისმება.
ბლასტომიკოზი	• სოკოვანი ინფექცია Mycobacterium avium კომპლექსის მსგავსი კლინიკური გამოვლინებით.	• გულ-მკერდის რენტგენზე შესაძლოა პათოლოგიური ინფილტრატები აღინიშნოს.

დაავადება/ მდგომარეობა	განმასხვავებელი ნიშნები/ სიმპტომები	მადიფერენცირებელი ტესტები
	• ხშირად დაკავშირებულია გამონაყართან კანზე, როგორც ფართოდ გავრცელებული პაპულები ან ერითემატოზული ვერუკოზული დაზიანებები.	• ნახველის ნაცხის სოკოსადმი მგრძნობიარე საღებავებით დამუშავებით შეიძლება გამოვლინდეს ორგანიზმი. • ნახველის კულტურა დადებითია სოკოზე. • კანის დაზიანების ბიოფსიითაც შეიძლება გამოვლინდეს ორგანიზმი.
ლა	• ინვეს ფილტვის, ნერვული სისტემისა და ლიმფური სისტემის დაავადებებს. • დაზიანებები კანზე (Pedunculated). • ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ გამოვლინებები/ სიმპტომები არ გამოირჩევა ლიმფური სისტემის Mycobacterium avium კომპლექსს, თუმცა კრიპტოკოკულ ინფექციაზე უფრო მიუთითებს..	• პერიფერული და თბი სითხის კრიპტოკოკული ანტიგენის განსაზღვრა ძალიან სენსიტიური და სპეციფიკური ტესტია.
განღვრის სინდრომი	• ვლინდება აივ ინფიცირებულ ადამიანებში ოპორტუნიტული ინფექციების ან წონის დაკლების სხვა იდენტიფიცირებული მიზეზების არარსებობის შემთხვევაში.	• გამორიცხვის კლინიკური დიაგნოზი.
სარკოიდოზი	• ძნელია დიფერენცირება ფილტვის Mycobacterium avium კომპლექსისა და ჰიპერმგრძნობელობის პნევმონიტისგან	• CXR-ზე ორმხრივი ჰილარული ლიმფადენოპათია; ფილტვის ბიოფსიით ვლინდება გრანულომატოზური ქსოვილი.

კრიტერიუმები

ფილტვის დაავადების დიაგნოსტიკისთვის საჭიროა სამივე კრიტერიუმის - კლინიკური, რადიოგრაფიული და ბაქტერიოლოგიური ნიშნები.[29]

1. კლინიკური კრიტერიუმები

- რესპირატორული სიმპტომები, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს დამატებითი კონსტიტუციური ნიშნები და სიმპტომები (ხველა, დაღლილობა, ცხელება, წონის დაკლება, ჰემოფტიზი)

- სხვა დაავადებების (მაგალითად, ტუბერკულოზი, კიბო, ჰისტოპლაზმოზი) გონივრული გამოორიცხვა მდგომარეობის ახსნის მიზნით.

2. რადიოგრაფიული კრიტერიუმები

- გულმკერდის რენტგენოგრაფიაზე კვანძოვანი ან კავერნოზული დაზრდილებები, ან
- ბრონქოექტაზიები მრავლობითი მცირე კვანძებით მაღალი გამოსახულებით კომპიუტერული ტომოგრაფიაზე.

3. მიკრობიოლოგიური კრიტერიუმები

კულტურის დადებითი შედეგები

- სულ ცოტა ორი სხვადასხვა ამოხველებული ნახველის ნიმუში, ან
- სულ ცოტა ერთი ბრონქული ამონარეცხი ან ლავაჟი, ან
- ფილტვის ტრანსბრონქული ან სხვა ბიოფსია გრანულომატოზური ანთებით ან მუავაგამძლე ბაცილების შედეგით, ბიოფსიით ან ნახველიდან/ბრონქული ლავაჟიდან მიღებული არატუბერკულოზურ მიკობაქტერიაზე (NTM) დადებითი კულტურით, ან
- ჩვეულებრივ სტერილური ექსტრაპულმონური ადგილიდან.

სკრინინგი

ცისტური ფიბროზის მქონე პაციენტები

საჭიროებენ არატუბერკულოზურ მიკობაქტერიებზე სკრინინგს სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

ფილტვის *Mycobacterium avium* კომპლექსის დაავადების დიაგნოსტიკური კრიტერიუმები კისტოზური ფიბროზის მქონე პაციენტებში იგივეა, რაც კისტოზური ფიბროზის გარეშე პაციენტებისთვის.^[29]

მიდგომა

ანტიბიოტიკოთერაპიის ეფექტურობის გაზრდისა და რეზისტენტობის შემცირების თვალსაზრისით, საჭიროა კომბინირებული მკურნალობის გამოყენება.

Mycobacterium avium კომპლექსი (MAC) ფილტვის დაავადება

Mycobacterium avium კომპლექსის ფილტვის დაავადებისთვის, მკურნალობის რეკომენდაციებში გათვალისწინებულია დაავადების სიმძიმე, აგრეთვე რენტგენოგრაფიული სურათი. კვანძოვანი ბრონქოექტაზიური დაავადების დროს მსუბუქი და საშუალო სიმძიმის მიმდინარეობით. რეკომენდებულია წყვეტილი მიღება – კლარიტრომიცინი კვირაში სამჯერ ან აზითრომიცინი პლუს ეთამბუტოლი პლუს რიფამპიცილი ან რიფაბუტინი აზითრომიცინს აქვს ნაკლები წამალთაშორისი ურთიერთქმედება და შეიძლება უკეთესი ამტანობით ხასიათდებოდეს, ვიდრე კლარიტრომიცინი. კავერნოზული დაავადებების დროს რეკომენდებული რეჟიმი მოიცავს იმავე მედიკამენტებს, მაგრამ უნდა დაინიშნოს ყოველდღიურად და არა კვირაში სამჯერადი რეჟიმი. გარდა ამისა, აშშ-ს ამჟამინდელი გაიდლაინები რეკომენდაციას უწევს პარენტერული ამიკაცილის ან სტრეპტომიცინის დამატებას თავდაპირველი 2-3 თვის განმავლობაში კავერნოზული ან პროგრესირებადი/მძიმე ბრონქოექტაზიური ან მაკროლიდებისადმი რეზისტენტული Mycobacterium avium კომპლექსის ფილტვის დაავადების დროს. მათი მიღება შეიძლება კვირაში სამჯერ (ოტოტოქსიურობის რისკის გათვალისწინებით). [39] [40]

პაციენტებს დასჭირდება მკურნალობა სანამ ნახველის კულტურები 12 თვის განმავლობაში არ იქნება უარყოფითი თანმიმდევრულად. [39]

ამიკაცილის ლიპოსომური ინჰალაციის დამატება რეკომენდებულია იმ პაციენტებისთვის, რომელთა გაიდლაინზე დაფუძნებული მკურნალობა წარუმატებელი აღმოჩნდა მინიმუმ 6 თვიანი მკურნალობისა. [39]

ფილტვის რეზექცია (ლობექტომია/პნევმონექტომია) შეიძლება საჭირო გახდეს პაციენტებში, თუ გამოხატულია:

- ადგილობრივი დაავადება, განსაკუთრებით ზედა წილის კავერნოზული დაზიანებები
- 6 თვიანი უწყვეტი მკურნალობის შემდეგ, ნახველის კულტურა მაინც დადებითია
- მედიკამენტურ თერაპიას ვერ აიტანენ პაციენტები.

ქირურგიული მათკვეთა პრიორიტეტულია პაციენტებისთვის, რომლებსაც აქვთ ლოკალიზებული დაავადება და რომლებშიც მკურნალობა წარუმატებელი იყო ან ვინც ვერ აიტანა მედიკამენტოზური მკურნალობა, იმ პირობით, რომ ქირურგიული გუნდი გამოცდილია ასეთ პროცედურებში.

MAC დისემინირებული დაავადება

კლარიტრომიცინისა და ეთამბუტოლის კომბინაცია პირველი რიგის თერაპიაა. აზითრომიცინი შეიძლება ჩანაცვლდეს კლარიტრომიცინით იმ შემთხვევებში, სადაც წამალთაშორისი ურთიერთქმედება და/ან ტოლერანტობა პრობლემას წარმოადგენს. მძიმე იმუნოსუპრესიის (CD4 <50 უჯრ/მკ), მიკობაქტერიების მაღალი რაოდენობის ან უშედეგო ანტირეტროვირუსული თერაპიის შემთხვევაში, რიფაბუტინი შეიძლება დაემატოს, როგორც მესამე ან მეოთხე აგენტი. მესამე ან მეოთხე წამლის ვარიანტები შეიძლება შეიცავდეს რიფაბუტინს, ფთორქინოლონს (მაგ. ლევოფლოქსაცინი ან მოქსიფლოქსაცინი), ან ინექციური ამინოგლიკოზიდი (მაგალითად, ამიკაცილი ან სტრეპტომიცინი). [30]

სისტემურმა ფთორქინოლონურმა ანტიბიოტიკებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული, უნარშემზღუდველ და პოტენციურად ხანგრძლივი ან შეუქცევადი გვერდითი მოვლენები. ეს მოიცავს

(მაგრამ არ შემოიფარგლება): ტენდინოპათია/მყესების განწყვეტა, გაგლეჯა, გახევა; პერიფერიული ნეიროპათია; ათროპათია/ართრალგია; აორტის ანევრიზმა და დისექცია; გულის სარქელის რეგურგიტაცია; დისგლიკემია; და ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ ეფექტები, მათ შორის კრუნჩხვები, დეპრესია, ფსიქოზი და სუიციდური აზრები და ქცევა:[41]

- დანიშნულების შემზღუდვები ვრცელდება ფტორქინოლონების გამოყენებაზე და ეს შემზღუდვები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნებს შორის. ზოგადად, ფტორქინოლონები უნდა შეიზღუდოს, გამოყენებული იქნას მხოლოდ სერიოზული, სიცოცხლისათვის საშიში ბაქტერიული ინფექციებისას. ზოგიერთმა მარეგულირებელმა სააგენტომ შეიძლება ასევე გირჩიოს მათი გამოყენება მხოლოდ იმ სიტუაციებში, როდესაც სხვა ანტიბიოტიკები, რომლებიც ჩვეულებრივ რეკომენდებულია ინფექციისთვის, შეუსაბამოა (მაგ., რემისტენტობა, უკუჩვენებები, მკურნალობის წარუმატებლობა, მიუწვდომლობა).
- ვარგისიანობის/მიზანშეწონილობის, უკუჩვენებებისა და სიფრთხილის ზომების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ თქვენს ადგილობრივ გაიდლაინებსა და წამლების ფორმულარს.

მკურნალობა შეიძლება შეწყდეს 12 თვიანი კურსის შემდეგ იმ პაციენტებში, რომელთაც MAC - ის ინფექციის თვალსაზრისით სიმპტომები არ აღენიშნებათ ან CD4 ლიმფოციტების რაოდენობა გაეზარდათ 100 უჯრ/მკ-ზე მეტად, 6 თვის განმავლობაში.

ავი-ინფიცირებული პაციენტები საჭიროებენ ეფექტურ ანტირეტროვირუსულ თერაპიას.

აუცილებელია ყურადღება მიექცეს ანტირეტროვირუსული მედიკამენტების წამალთშორის უერთიერთქმედებას, განსაკუთრებით, პროტეაზას ინჰიბიტორებს, უკუტრანსკრიპტაზას არანუკლეოზიდურ ინჰიბიტორებსა და რიფამპიცინებს (რიფაბუტინი და რიფამპიცინი) შორის.[30]

MAC ლიმფადენიტი

მკურნალობა დაზიანებული ლიმფური კვანძის მყისიერ ქირურგიულ ამოკვეთას მოიცავს. იმ შემთხვევაში, თუ დაავადება ექსტენსიურია ან არ რეაგირებს ქირურგიულ ამოკვეთაზე, ანტიმიკობაქტერიული მკურნალობა შეიძლება დაიწყოს.[29]

MAC ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი

ბევრისთვის ცხელი აბაზანების არიდება პრევენციის ადექვატური მეთოდია.

4-8 კვირის განმავლობაში ნელ-ნელა შემცირებადი პრედნიზოლონი არჩევის პრეპარატია. ანტიმიკობაქტერიული მედიკამენტები შეიძლება საჭირო გახდეს ექსტენსიური დაავადების და პროგრესირებადი სიმპტომების შემთხვევაში, თუმცა მათი გამოყენების შესახებ ჯერ კიდევ მიდის მსჯელობა.[29]

მაკროლიდებისადმი რემისტენტული MAC

მაკროლიდისადმი რემისტენტული MAC დაავადების მკურნალობა კომპლექსურია, ხოლო თერაპიის დაწყებამდე საჭიროა MAC თერაპიაში გამოცდილი სპეციალისტის კონსულტაცია. გაიდლაინების მიხედვით დამატებითი აგენტების გამოყენებამ სპეციალისტთან მისვლამდე, შეიძლება დააზიანოს პაციენტის შანსი ოპტიმალური თერაპიული რეაგირებისთვის; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასწრაფო გადაწყვეტა.[39]

მკურნალობის ალგორითმის მიმოხილვა

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა/შეყვანის გზა და დოზა შეიძლება განსხვავებული იყოს მედიკამენტების დასახელების და ბრენდების, ფორმულარის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით. მკურნალობის შესახებ რეკომენდაციები სპეციფიკურად ეხება პაციენტების ჯგუფებს: [ახ. განმარტება](#)

მიმდინარე (შეჯამება)		
ფილტვის MAC		
■ მსუბუქი და საშუალო სიმძიმის კვანძოვანი ბრონქოექტაზიური დაავადება	1-ლი	კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია
	დამატებით	ლობექტომია/პნევმონექტომია
■ კავერნოზული დაავადება	1-ლი	კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია
	დამატებით	ლობექტომია/პნევმონექტომია
■ მძიმე (სერიოზული) დაავადება ან გადატანილი ნამკურნალები დაავადება	1-ლი	კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია
	დამატებით	ამიკაცინის ლიპოსომური ინჰალაცია
	დამატებით	ლობექტომია/პნევმონექტომია
დისემინირებული MAC		
■ მძიმე იმუნოსუპრესია	1-ლი	კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია
	დამატებით	დაუმატეთ მესამე ან მეოთხე მედიკამენტი კომბინაციურ რეჟიმს
	დამატებით	ანტირეტროვირუსული თერაპია
MAC ლიმფადენიტი		
■ ლოკალიზებული დაავადება	1-ლი	ქირურგიული ამოკვეთა
■ ექსტენსიური დაავადება; უშედეგო ქირურგიული რეაქცია	1-ლი	კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია
MAC ჰიპერსენსიტიური პნევმონიტი		
	1-ლი	კორტიკოსტეროიდი

მკურნალობის ალგორითმი

მიაქციეთ ყურადღება, რომ ფორმულა/შეყვანის გზა და დოზა შეიძლება განსხვავებული იყოს მედიკამენტების დასახელების და ბრენდების, ფორმულარის ან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის

მიხედვით. მკურნალობის შესახებ რეკომენდაციები სპეციფიკურად ეხება პაციენტების ჯგუფებს: [ob](#).
[განმარტება](#)

მიმდინარე

ფილტვის MAC

■ მსუბუქი და საშუალო სიმძიმის კვანძოვანი ბრონქოექტაზიური დაავადება

1-ლი

კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია

პირველადი პარამეტრები

» აზიტრომიცინი: 500 მგ პერორულად კვირაში სამჯერ

-იყოს-

» კლარიტრომიცინი: 1000 მგ პერორალურად (დაუყოვნებლივი გამოდევნით), კვირაში სამჯერ კუჭ-ნაწლავის ტოლერანტობის გასაუმჯობესებლად ზოგიერთ პაციენტში 1000 მგ დღეში შეიძლება საჭირო გახდეს 2 დაყოფილი დოზით.

--და--

» ეთამბუტოლი: 25 მგ პერორულად კვირაში სამჯერ

--და--

» რიფამპიცილი: 600 მგ პერორულად კვირაში სამჯერ

-იყოს-

» რიფაბუტინი: 300 მგ პერორულად კვირაში სამჯერ

» Mycobacterium avium კომპლექსის (MAC) ფილტვის დაავადებისთვის, მკურნალობის რეკომენდაციებში გათვალისწინებულია დაავადების სიმძიმე, ისევე როგორც რენტგენოგრაფიული სურათი.

» კვანძოვანი ბრონქოექტაზიური დაავადების დროს მსუბუქი და საშუალო სიმძიმის მიმდინარეობით. რეკომენდებულია წყვეტილი მიღება- კლარიტრომიცინი კვირაში სამჯერ ან აზიტრომიცინი პლუს ეთამბუტოლი პლუს რიფამპიცილი ან რიფაბუტინი აზიტრომიცინს აქვს ნაკლები წამალთაშორისი ურთიერთქმედება და შეიძლება უკეთესი ამტანობით ხასიათდებოდეს, ვიდრე კლარიტრომიცინი.[39] [40]

» პაციენტებს დასჭირდება მკურნალობა სანამ ნახველის კულტურები 12 თვის განმავლობაში არ იქნება უარყოფითი თანმიმდევრულად.[39]

» ხანდაზმულ პაციენტებში ან ხანგრძლივი თერაპიის (6 თვე ან მეტი საჭიროების შემთხვევაში რეკომენდებულია დაბალი დოზების გამოყენება.

მიმდინარე

■ კავერნოზული დაავადება

დამატებით

» მაკროლიდისადმი რეზისტენტული MAC დაავადების მკურნალობა უნდა მოხდეს მხოლოდ სპეციალისტის კონსულტაციით, რადგან ამ პაციენტების მართვა რთულია. გაიდლაინების მიხედვით დამატებითი აგენტების გამოყენებამ სპეციალისტთან მისვლამდე, შეიძლება დააზიანოს პაციენტის შანსი ოპტიმალური თერაპიული რეაგირებისთვის; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასწრაფო გადაწყვეტა.[39]

ლობექტომია/პნევმონექტომია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

» შეიძლება საჭირო იყოს ლოკალიზებული დაავადების მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით ზედა წილის კავერნოზული დაზიანებების დროს; აგრეთვე პაციენტებში, რომლებშიც 6 თვიანი უწყვეტი მკურნალობის მიუხედავად ნახველის კულტურა მაინც დადებითია; ან პაციენტებში, რომლებიც ვერ იტანენ მედიკამენტურ თერაპიას.

1-ლი

კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია

პირველადი პარამეტრები

» **აზიტრომიცინი:** 250-500 მგ ერთხელ დღეში პერორალურად

-იყოს-

» **კლარიტრომიცინი:** 500 მგ პერორალურად (დაუყოვნებლივი გამოყოფის) დღეში ორჯერ

--და--

» **ეთამბუტოლი:** 15 მგ/კგ პერორალურად, დღეში ერთხელ

--და--

» **რიფამპიცილი:** 10 მგ/კგ პერორალურად დღეში ერთხელ, მაქსიმალური დოზაა 600 მგ/დღეში -იყოს-

» **რიფაბუტინი:** 150-300 მგ პერორალურად, დღეში ერთხელ

კლარიტრომიცინთან ერთად კომბინაციისას რეკომენდებულია 150 მგ/დღეში დოზა.

--და--

» **სტრეპტომიცილი:** 10-15 მგ/კგ დღეში ერთხელ ინტრავენურად/კუნთში; ან 15-25 მგ/კგ ინტრავენურად/კუნთში კვირაში სამჯერ; დოზის კორექტირება შრატში სტრეპტომიცილის დონის მიხედვით

-იყოს-

» **ამიკაცინი:** 10-15 მგ/კგ დღეში ერთხელ ინტრავენურად; ან 15-25 მგ/კგ კვირაში სამჯერ ინტრავენურად; დოზის კორექტირება შრატში ამიკაცინის დონის მიხედვით

მიმდინარე

» *Mycobacterium avium* კომპლექსის (MAC) ფილტვის დაავადებისთვის, მკურნალობის რეკომენდაციებში გათვალისწინებულია დაავადების სიმძიმე, ისევე როგორც რენტგენოგრაფიული სურათი.

» კავერნოზული დაავადების დროს რეკომენდებულია ყოველდღიური თერაპია აზითრომიცინით ან კლარიტრომიცინი პლუს ეთამბუტოლი პლიუს რიფამპიცილით ან რიფაბუტინით. აზითრომიცინს აქვს ნაკლები წამალთაშორისი ურთიერთქმედება და შეიძლება უკეთესი ამტანობით ხასიათდებოდეს, ვიდრე კლარიტრომიცინი.

» აშშ-ს ამჟამინდელი გაიდლაინები ასევე რეკომენდაციას უწევს პარენტერალური ამიკაცილის ან სტრეპტომიცინის დამატებას კავერნოზული დაავადების დროს საწყისი 2-3 თვის განმავლობაში. მათი მიღება შეიძლება კვირაში სამჯერ (ოტოტოქსიურობის რისკის გათვალისწინებით).[39] [40]

» პაციენტებს დასჭირდება მკურნალობა სანამ ნახველის კულტურები 12 თვის განმავლობაში არ იქნება უარყოფითი თანმიმდევრულად.[39]

» ხანდაზმულ პაციენტებში ან ხანგრძლივი თერაპიის (6 თვე ან მეტი საჭიროების შემთხვევაში) რეკომენდებულია დაბალი დოზების გამოყენება.

» მაკროლიდისადმი რეზისტენტული MAC დაავადების მკურნალობა უნდა მოხდეს მხოლოდ სპეციალისტის კონსულტაციით, რადგან ამ პაციენტების მართვა რთულია. გაიდლაინების მიხედვით დამატებითი აგენტების გამოყენებამ სპეციალისტთან მისვლამდე, შეიძლება დააზიანოს პაციენტის შანსი ოპტიმალური თერაპიული რეაგირებისთვის; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასწრაფო გადაწყვეტა.[39]

დამატებით ლობექტომია/პნევმონექტომია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

» შეიძლება საჭირო იყოს ლოკალიზებული დაავადების მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით ზედა წილის კავერნოზული დაზიანებების დროს; აგრეთვე პაციენტებში, რომლებშიც 6 თვიანი უწყვეტი მკურნალობის მიუხედავად ნახველის კულტურა მაინც დადებითია; ან პაციენტებში, რომლებიც ვერ იტანენ მედიკამენტურ თერაპიას.

მიმდინარე

■ მძიმე (სერიოზული) დაავადება ან გადატანილი ნამკურნალები დაავადება

1-ლი

კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია

პირველადი პარამეტრები

» **აზიტრომიცინი:** 250-500 მგ ერთხელ დღეში პერორალურად

-იყოს-

» **კლარიტრომიცინი:** 500 მგ პერორალურად (დაუყოვნებლივი გამოყოფის) დღეში ორჯერ

--და--

» **ეთამბუტოლი:** 15 მგ/კგ პერორულად, დღეში ერთხელ

--და--

» **რიფამპიცილი:** 10 მგ/კგ პერორულად დღეში ერთხელ, მაქსიმალური დოზაა 600 მგ/დღეში

-იყოს-

» **რიფაბუტინი:** 150-300 მგ პერორალურად, დღეში ერთხელ

კლარიტრომიცინთან ერთად კომბინაციისას რეკომენდებულია 150 მგ/დღეში დოზა.

--და--

» **სტრეპტომიცილი:** 10-15 მგ/კგ დღეში ერთხელ ინტრავენურად/კუნთში; ან 15-25 მგ/კგ ინტრავენურად/კუნთში კვირაში სამჯერ; დოზის კორექტირება შრატში სტრეპტომიცილის დონის მიხედვით

-იყოს-

» **ამიკაცინი:** 10-15 მგ/კგ დღეში ერთხელ ინტრავენურად; ან 15-25 მგ/კგ კვირაში სამჯერ ინტრავენურად; დოზის კორექტირება შრატში ამიკაცინის დონის მიხედვით

» **Mycobacterium avium** კომპლექსის (MAC) ფილტვის დაავადებისთვის, მკურნალობის რეკომენდაციებში გათვალისწინებულია დაავადების სიმძიმე, ისევე როგორც რენტგენოგრაფიული სურათი.

» შორსნასული (მძიმე) დაავადების დროს რეკომენდებულია ყოველდღიური თერაპია აზიტრომიცინით ან კლარიტრომიცინით, პლიუს ეთამბუტოლით პლიუს რიფამპიცილით ან რიფაბუტინით. აზიტრომიცინს აქვს ნაკლები წამალთაშორისი ურთიერთქმედება და შეიძლება უკეთესი ამტანობით ხასიათდებოდეს, ვიდრე კლარიტრომიცინი. პაციენტებისათვის პროგრესირებადი (მძიმე) დაავადებით, ან წინა მედიკამენტოზური თერაპიის არაეფექტურობისას, უნდა განიხილებოდეს ამიკაცინის ან სტრეპტომიცილის დამატების შესაძლებლობა ინტერმისიული/წყვეტილი რეჟიმით კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპიის პირველი 2-3 თვის განმავლობაში. მათი მიღება შეიძლება

მიმდინარე

კვირაში სამჯერ (ოტოტოქსიურობის რისკის გათვალისწინებით).[39] [40]

» პაციენტებს დასჭირდება მკურნალობა სანამ ნახველის კულტურები 12 თვის განმავლობაში არ იქნება უარყოფითი თანმიმდევრულად.

» ხანდაზმულ პაციენტებში ან ხანგრძლივი თერაპიის (6 თვე ან მეტი საჭიროების შემთხვევაში რეკომენდებულია დაბალი დოზების გამოყენება.

» მაკროლიდისადმი რეზისტენტული MAC დაავადების მკურნალობა უნდა მოხდეს მხოლოდ სპეციალისტის კონსულტაციით, რადგან ამ პაციენტების მართვა რთულია. გაიდლაინების მიხედვით დამატებითი აგენტების გამოყენებამ სპეციალისტთან მისვლამდე, შეიძლება დააზიანოს პაციენტის შანსი ოპტიმალური თერაპიული რეაგირებისთვის; შესაბამისად, მნიშვნელოვანია სასწრაფო გადაწყვეტა.[39]

დამატებით ამიკაცინის ლიპოსომური ინჰალაცია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

პირველადი პარამეტრები

» ამიკაცინის ლიპოსომური ინჰალაცია: 590 მგ ინჰალაცია ნებულაიზერის საშუალებით დღეში ერთხელ

» თუ პაციენტებმა ვერ მიაღწიეს ნახველის კულტურის უარყოფით პასუხს გაიდლაინზე დაფუძნებული თერაპიის მინიმუმ 6 თვის განმავლობაში, მკურნალობის სქემას შეიძლება დაემატოს ამიკაცინის ლიპოსომური ინჰალაცია (ანუ ყოველდღიური თერაპია აზითრომიცინით ან კლარიტრომიცინით პლუს ეტამბუტოლით პლუს რიფამპიცილით ან რიფაბუტინით, როგორც ზემოთაა აღწერილი).[39]

დამატებით ლობექტომია/პნევმონექტომია

მკურნალობა, რომელიც რეკომენდებულია შერჩეულ ჯგუფში ზოგიერთი პაციენტისთვის

» შეიძლება საჭირო იყოს ლოკალიზებული დაავადების მქონე პაციენტებში, განსაკუთრებით ზედა წილის კავერნოზული დაზიანებების დროს; აგრეთვე პაციენტებში, რომლებშიც 6 თვიანი უწყვეტი მკურნალობის მიუხედავად ნახველის კულტურა მაინც დადებითია; ან პაციენტებში, რომლებიც ვერ იტანენ მედიკამენტურ თერაპიას.

დისემინირებული MAC

მიმდინარე

დისემინირებული MAC

1-ლი

კომბინირებული ანტიმიკობაქტერიული თერაპია

პირველადი პარამეტრები

